

ფინანსური აღრიცხვა
I,II სემესტრი 2019-2020 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

საწარმომ დააბანდა 10000 ლარი 2 წლის ვადით, წლიური 10%-იანი განაკვეთით. განსაზღვრეთ დაბანდებული თანხის მომავალი ღირებულება.

გამოიყენეთ ფორმულა: $FV = PVX(I + i)^n$

Select one:

- a. 12100 ლარი
- b. 11000 ლარი
- c. 12000 ლარი

Question 2

კომპანიას სურს, რომ 2 წლის შემდეგ 10%-იანი განაკვეთის პირობებში მიიღოს 48400 ლარი. რა თანხა უნდა დააბანდოს კომპანიამ დღეს? გამოიყენეთ ფორმულა: $PV = FV / ((1 + i)^n)$

Select one:

- a. 40000 ლარი
- b. 42000 ლარი
- c. 45000 ლარი

Question 3

საწარმოს მიერ მიწოდებულ საქონელზე მიღებული თამასუქის ნომინალური ღირებულება შეადგენს 12000 ლარს. წლიური საპროცენტო განაკვეთი 15% -ია. თამასუქის დაფარვის ვადა 60 დღე. მისაღები საპროცენტო თანხა შეადგენს:

Select one:

- a. 295 ლარს
- b. 1800 ლარს
- c. 900 ლარს

Question 4

საწარმომ 2018 წლის 1 სექტემბერს სხვა საწარმოზე გასცა სესხი 300 000 ლარის ოდენობით 6 თვის ვადით წლიური 10%-ანი განაკვეთით. საწარმომ პროცენტი უნდა მიიღოს თვეში ერთხელ. 2018 წლის საპროცენტო შემოსავალი არის:

Select one:

- a. 15000
- b. 10000
- c. 30000

Question 5

2018 წლის 31 დეკემბერს შპს „ყაზბეგის“ დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) შეადგენდა 90000 ლარს. საწარმოს მენეჯერი ვარაუდობს, რომ დებიტორული დავალიანების 3% საეჭვოა. დებიტორული დავალიანების ნეტო თანხა ბალანსში არის (ლარი):

Select one:

- a. 89100
- b. 85500
- c. 87300

Question 6

ბასს-ის მიხედვით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდებია:

Select one:

- a. ინდივიდუალური დანახარჯების მეთოდი; საშუალო-შეწონილი ღირებულების მეთოდი; „FIFO“ მეთოდი
- b. მიმდინარე საბაზრო ღირებულების მეთოდი
- c. უწყვეტი და წყვეტილი მეთოდი

Question 7

მარაგების აღრიცხვაში საშუალო-შეწონილი მეთოდის გამოყენება გულისხმობს, რომ თითოეული დასახელების მარაგის ღირებულება განისაზღვრება:

Select one:

- a. პერიოდის დასაწყისში არსებული, აგრეთვე პერიოდის განმავლობაში მიღებული და გასული (დახარჯული) მარაგების საშუალო შეწონილი ფასებით.
- b. მხოლოდ პერიოდის განმავლობაში მიღებული და გასული (დახარჯული) მარაგების საშუალო შეწონილი ფასებით
- c. არც ერთი პასუხი არ არის სწორი

Question 8

სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების აღრიცხვაში გამოიყენება აღრიცხვის შემდეგი მეთოდები:

Select one:

- a. მუდმივი (უწყვეტი) და პერიოდული აღრიცხვის მეთოდი
- b. გასაყიდი ფასებით აღრიცხვის მეთოდი
- c. თვითღირებულების მეთოდი

Question 9

სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების მუდმივი (უწყვეტი) აღრიცხვა გულისხმობს:

Select one:

- a. მატერიალური ფასეულობების შემოსვლისა და ხარჯვის ან რეალიზაციის მუდმივ აღრიცხვას მოძრაობის ყველა სტადიაზე
- b. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი - ხარჯად ჩაითვლება ის, რაც გადაეცა წარმოებას ან გაიყიდა.
- c. ორივე პასუხი სწორია

Question 10

ძირითადი საშუალებების შეძენის თვითღირებულება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

Select one:

- a. ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციის სწავლების ხარჯები
- b. ადმინისტრაციული ხარჯები
- c. შესყიდვის ფასი; საიმპორტო გადასახადი, საბაჟო მოსაკრებლები; დემონტაჟისა და ადგილმდებარეობის მომზადების ხარჯები; ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები

Question 11

2018 წლის 1 ოქტომბერს საწარმომ 200000 ლარად შეიძინა აგურის შენობა. ცვეთის წლიური ნორმა შეადგენს 0,7% -ს. შენობის ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის:

Select one:

- a. 197200 ლარი
- b. 199650 ლარი
- c. 195600 ლარი

Question 12

ლუდის ქარხანამ 60000 ლარად შეიძინა ლუდის სავაჭრო ნიშანი. ყველა ოპერაცია განხორციელდა საბანკო გადარიცხვით. შეძენილი არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრა 10 წლით. ასახეთ ბუღალტრულად ლუდის სავაჭრო ნიშნის შეძენა.

Select one:

- a. დებეტი „ძირითადი საშუალებები“ 60000
კრედიტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 60000
- b. დებეტი 2500 „არამატერიალური აქტივები“ 60000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 60000
- c. დებეტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 60000
კრედიტი „ძირითადი საშუალებები“ 60000

Question 13

საკონდიტრო საწარმომ შეიძინა ნამცხვრის დამზადების რეცეპტი, რისთვისაც გადაიხადა 5000 ლარი. რეცეპტის ამორტიზაციის ვადა განისაზღვრა 5 წლით. ამორტიზაციის გაანგარიშებისათვის შერჩეულ იქნა წრფივი მეთოდი. მეოთხე წლის ბოლოს რეცეპტი გაიყიდა 3000 ლარად. რეცეპტის რეალიზაციიდან მიღებული ფინანსური შედეგი არის:

Select one:

- a. 2000 ლარი მოგება
- b. 1000 ლარი მოგება
- c. 6000 ლარი მოგება

Question 14

შეძენილია მიმწოდებლებისაგან მასალები, თანხა გადარიცხულია ბანკიდან. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები“
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
- b. დებეტი 1620 „ნედლეული და მასალები“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- c. დებეტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
კრედიტი 1620 „ნედლეული და მასალები“

Question 15

დარიცხულია მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება, თანხა გადახდილი არ არის. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი 1630 „დაუმთავრებელი წარმოება“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- b. დებეტი 1630 „დაუმთავრებელი წარმოება“
კრედიტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
- c. დებეტი 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“

Question 16

საწარმომ აიღო მოკლევადიანი სესხი, რომელიც ჩაირიცხა ანგარიშსწორების ანგარიშზე. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
კრედიტი „მოკლევადიანი სესხი“
- b. დებეტი „არასაოპერაციო შემოსავალი“
კრედიტი „მოკლევადიანი სესხი“
- c. დებეტი „მოკლევადიანი სესხი“
კრედიტი „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“

Question 17

დარიცხულია მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი „ხელფასის ხარჯი“
კრედიტი „გადასახდელი ხელფასები“
- b. დებეტი „გადასახდელი ხელფასი“
კრედიტი „ნაღდი ფული ეოვნულ ვალუტაში“
- c. დებეტი „ხელფასის ხარჯი“
კრედიტი „ნაღდი ფული ეოვნულ ვალუტაში“

Question 18

დაუკავდათ მუშა-მოსამსახურეებს საშემოსავლო გადასახადი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

Select one:

- a. დებეტი 7120 „პირდაპირი ხელფასი“
კრედიტი 3130 „გადასახდელი ხელფასები“
- b. დებეტი 3130 „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი 3320 „გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი“
- c. დებეტი 3130 „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი 7120 „ხელფასის ხარჯი“

Question 19

საწარმომ შეიძინა 10000 ლარის საქონელი 10 სექტემბერს. პირობა: 2/10, ნ. 30. საწარმო იყენებს ვალდებულებების მთლიანი თანხით აღრიცხვის მეთოდს. საწარმომ ისარგებლა ფასდათმობის პირობით და თანხა გადაიხადა 20 სექტემბერს. ასახეთ ბუღალტრულად მომწოდებელზე თანხის გადარიცხვა და არასაოპერაციო შემოსავლები.

Select one:

- a. დებეტი „არასაოპერაციო შემოსავლები“ 10000
კრედიტი „ეროვნული ალუტა ბანკში“ 10000
- b. დებეტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 10000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 10000
- c. დებეტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 10000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 9800
კრედიტი 8190 „სხვა არასაოპერაციო შემოსავლები“ 200

Question 20

საწარმომ მყიდველისაგან ავანსად მიიღო თანხა მომავალ პერიოდში მისაწოდებელი პროდუქციისათვის. ასახეთ ბუღალტრულად თანხის მიღება.

Select one:

- a. დებეტი „1480 „მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“
- b. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“
კრედიტი 3120 „მიღებული ავანსები“
- c. დებეტი 3120 „მიღებული ავანსები“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“

Question 21

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის წლიური მოგება შეადგენს 200 000 ლარს. საანგარიშო პერიოდში მიმდინარე მოგების გადასახდელების სახით გადახდილია 16000 ლარი. მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ია. რა თანხის გადახდა მოუწევს ორგანიზაციას წლის ბოლოს?

Select one:

- a. 30000
- b. 2400
- c. 14000

Question 22

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის წლიური მოგება შეადგენს 200 000 ლარს. მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ია. ასახეთ ბუღალტრულად წლიური მოგების გადასახადის დარიცხვა.

Select one:

- a. დებეტი 3310 „გადასახდელი მოგების გადასახადი“ 30000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 30000
- b. დებეტი 3310 „გადასახდელი მოგების გადასახადი“ 30000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 30000
- c. დებეტი 5330 „მოგება/ზარალი“ 30000
კრედიტი 3310 „გადასახდელი მოგების გადასახადი“ 30000

Question 23

მყიდველს მიწოდა 2000 ლარის საქონელი. დღგ 18% - 360 ლარი. სულ ასანაზღაურებელი თანხა - 2360 ლარი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება დღგ თანხის დარიცხვაზე.

Select one:

- a. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“
კრედიტი 3330 „გადასახდელი დღგ“
- b. დებეტი 3330 „გადასახდელი დღგ“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“
- c. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“

Question 24

საწარმომ შექმნა საგარანტიო მომსახურების რეზერვი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

Select one:

- a. დებეტი 3430 „ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე“
კრედიტი 7470 „საგარანტიო მომსახურების ხარჯები“
- b. დებეტი 3430 „ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე“
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“
- c. დებეტი 7470 „საგარანტიო მომსახურების ხარჯები“
კრედიტი 3430 „ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე“

Question 25

აქციების გამოშვება ხელმოწერით ნიშნავს:

Select one:

- a. აქციონერები ხელს აწერენ კონტრაქტს, რომელშიც მითითებულია მათი ვალდებულება, რომ შეიძენენ მხოლოდ პრივილეგიურებულ აქციებს
- b. აქციონერები ხელს აწერენ კონტრაქტს, რომელშიც მითითებულია მათი ვალდებულება, რომ შეიძენენ აქციების განსაზღვრულ რაოდენობას
- c. აქციონერები ხელს აწერენ კონტრაქტს, რომელშიც მითითებულია მათი ვალდებულება, რომ შეიძენენ მხოლოდ გამოსყიდულ აქციებს

Question 26

სააქციო საზოგადოებამ გაყიდა 50000 ცალი ჩვეულებრივი აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარის ტოლია. აქციები გაიყიდა ნომინალური ღირებულებით. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

Select one:

- a. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
კრედიტი 5110 „ჩვეულებრივი აქციები“ 50000
- b. დებეტი 5110 „ჩვეულებრივი აქციები“ 50000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
- c. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
კრედიტი 5140 „საემისიო კაპიტალი“ 50000

Question 27

სააქციო საზოგადოებამ გაყიდა 50000 ცალი ჩვეულებრივი აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარის ტოლია. აქციები გაიყიდა 1,5 ლარად. ასახეთ ბუღალტრულად საემისიო კაპიტალი.

Select one:

- a. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 25000
კრედიტი 5140 „საემისიო კაპიტალი“ 25000
- b. დებეტი 5140 „საემისიო კაპიტალი“ 25000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 25000
- c. დებეტი 5110 „ჩვეულებრივი აქციები“ 25000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 25000

Question 28

ბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხულია მიწოდებული საქონლის ღირებულება 50000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად თანხის ჩარიცხვა და შემოსავლის აღიარება.

Select one:

- a. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 50000
კრედიტი 6110 „შემოსავლები რეალიზაციიდან“ 50000
- b. დებეტი 1110 „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“ 50000
კრედიტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 50000
- c. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან“ 50000
კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 50000

Question 29

საწარმომ ხუთი წლის ვადით იჯარით გასცა ერთ-ერთი საამქროს შენობა, რისთვისაც მას წინასწარ გადაუხადეს 180000 ლარი. ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 3000 ლარს ($180000 : 60$). შეადგინეთ ბუღალტრული გატარება საიჯარო თანხის შემოსავლად აღიარებაზე.

Select one:

- a. დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 180000
კრედიტი 3120 „მიღებული ავანსები“ 180000
- b. დებეტი 3120 „მიღებული ავანსები“ 180000
კრედიტი 8190 „სხვა არასაოპერაციო შემოსავალი“ 180000
- c. დებეტი 1720 „წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა“ 180000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში“ 180000

Question 30

საწარმოს საკუთარი კაპიტალის ნაშთი პერიოდის დასაწყისში 80000 ლარს შეადგენდა. იმავე პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 25000 ლარი, ხოლო შემოსავლებმა 55000 ლარი. კაპიტალის ამოდება 2000 ლარს შეადგენს. საკუთარი კაპიტალის ნაშთი პერიოდის ბოლოს არის:

Select one:

- a. 28000 ლარი
- b. 108000 ლარი
- c. 30000 ლარი

Question 31

საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაირკვა, რომ საწარმოს მისაღები აქვს დივიდენდი 300000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლის დარიცხვა.

Select one:

- a. დებეტი 1810 „მისაღები დივიდენდები“300000
კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა ზანკში“ 300000
- b. დებეტი 8120 „შემოსავალი დივიდენდებიდან“ 300000
კრედიტი 1810 „მისაღები დივიდენდები“ 300000
- c. დებეტი 1810 „მისაღები დივიდენდები“ 300000
კრედიტი 8120 „შემოსავალი დივიდენდებიდან“300000

Question 32

საწარმოს მიერ იანვრის თვეში გაწეული მომსახურების ღირებულება 60000 ლარია. იანვარში საწარმოს საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულია 40500 ლარი, რომელიც მოიცავს თებერვალში გასაწევი მომსახურების 15000 ლარს და მარტში გასაწევი მომსახურების ღირებულების 7000 ლარს. საწარმოს იანვრის თვის შემოსავალი დარიცხვის მეთოდის გამოყენებით არის:

Select one:

- a. 22000 ლარი
- b. 40000 ლარი
- c. 60000 ლარი

Question 33

არასაოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს მიეკუთვნება:

Select one:

- a. სესხის პროცენტები, საიჯარო ხარჯები, სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული ხარჯები
- b. კომერციული ხარჯები, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები
- c. პროდუქციისა და საქონლის თვითღირებულება

Question 34

ზანკის მიმდინარე ანგარიშიდან გადახდილია შენობის იჯარის ქირა 30000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად იჯარის ხარჯი.

Select one:

- a. დებეტი „იჯარის ხარჯი“ 30000
კრედიტი „შემოსავლები რეალიზაციიდან“30000

- b. დებეტი „იჯარის ხარჯი“ 30000
კრედიტი „ვალდებულებები მიწოდებიდან“ 30000
- c. დებეტი „იჯარის ხარჯი“ 30000
კრედიტი „მიმდინარე ანგარიში ბანკში 30000

Question 35

საწარმოში პროდუქციის გამოშვებაზე გაწეულია შემდეგი სახის ხარჯები:

მასალები 30000

მუშების ხელფასი 25500

მანქანა-დანადგარების ცვეთა 3000

ელექტროენერჯის ხარჯები 2000

მ.შ. ადმინისტრაციული შენობის (500)

მინისტრაციული პერსონალის ხელფასი 1000

დისტრიბუტორების ხელფასი 800

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 1200

პერიოდის ბოლოს დაუმთავრებელი წარმოების ნაშთი შეფასდა 12000 ლარად. გამოშვებული იქნა 1600

ერთეული პროდუქცია. აქედან რეალიზებული იქნა 1000 ერთეული. რეალიზებული პროდუქციის

თვითღირებულება არის:

Select one:

- a. 30000 ლარი
- b. 39687 ლარი
- c. 17304 ლარი

Question 36

საწარმოს გააჩნია შემდეგი მაჩვენებლები: გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით 115000; უნაღდო ანგარიშსწორებით შემდგომი გადახდის პირობით 25000; გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება 6000; შესყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით 35500; შესყიდვები შემდგომი გადახდის პირობით 8000; მარაგის ნაშთი პერიოდის ბოლოს 10000; ფასნამატი რეალიზებულ პროდუქციაზე - 30%. მმარაგების საწყისი ნაშთი არის:

Select one:

- a. 69000 ლარი
- b. 69577 ლარი
- c. 75000 ლარი

Question 37

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

Select one:

- a. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ; ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
- b. საცდელი ბალანსი
- c. აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები

Question 38

ბუღალტრული ბალანსის ელემენტებია:

Select one:



a. ვალდებულებები, მოგება-ზარალი



b. შემოსავლები და ხარჯები



c. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი

Question 39

მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშგების ელემენტებია:

Select one:



a. შემოსავლები და ხარჯები



b. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი



c. მოგება ან ზარალი

Question 40

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება უნდა შედგეს:

Select one:



a. საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით



b. მხოლოდ საოპერაციო საქმიანობების მიხედვით



c. მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით